



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
Human Rights 4All

# ახანათანადო მოწყობის ჰეპენსი და ჩანბიჩება მომხდენი ფაქტებზე

**GCRT**

წამების მსხვერპლთა  
ფსიქოსოციალური და  
სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი



საქართველოს ახალგაზრდა  
იურისტთა ასოციაცია

თბილისი  
2019

*საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*

**არასათანადო მოპყრობის  
პრევენცია და რეაბილიტაცია  
მომხდარ ფაქტებზე**

„ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და არ ნიშნავს რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.“

ავტორი: **მერი ღაუშვილი**  
**ნონა ქურდოვანიძე**

რედაქტორი: **სათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **სულხან სალაძე**



აიწყო და დაკაბადონდა  
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.  
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო  
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება  
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

---

© 2019, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

# შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი .....	4
მეთოდოლოგია .....	5
ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები .....	6
1. კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები და არსებული გამოწვევები .....	10
1.1. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი .....	10
1.2. მოსამართლის როლის გაზრდა არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიმართულებით .....	12
1.3. დაზარალებულის სტატუსი და უფლებები .....	14
1.4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა .....	19
1.4.1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის გამოყენების მასშტაბები .....	19
1.4.2. პროცედურული გარანტიების არარსებობა .....	21
1.4.3. ადმინისტრაციული დაკავების მექანიზმი .....	22
2. პენიტენციარული დაწესებულებებიდან მიღებული კორუპციონდენსიების ანალიზი .....	25
3. საბართალდაშსავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე გამოძიების პროცესის ხარვეზები ...	26
3.1. შესავალი .....	26
3.2. ქვემდებარობის განსაზღვრა და გამოძიების დაწყების დაგვიანებული პროცესი .....	27
3.3. კვალიფიკაცია .....	28
3.4. გამოძიების წარმოებისას გამოვლენილი სხვა ხარვეზები .....	30
3.5. დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასა და გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები .....	31
3.6. გამოძიების გაჭიანურების პრობლემა .....	34
3.7. სამართალდამცავთა მხრიდან სავარაუდოდ განხორციელებული დანაშაულის მსხვერპლთათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება .....	35

## შესავალი

2018 წლის თებერვლიდან საია, წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრთან (GCRT) ერთად, ახორციელებს პროექტს - **წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა საქართველოში, უკრაინასა და სომხეთში**. პროექტის ფარგლებში საია სამართლებრივ დახმარებას უწევს იმ პირებს, რომლებიც წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის მსხვერპლნი გახდნენ დაკავების დროს, პენიტენციარულ დაწესებულებებში ან/და წინასწარი დაკავების იზოლატორებში სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენელთა მხრიდან, ასევე, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ან შემდგომ პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში.

წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა, როგორც სისტემური პრაქტიკა, საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში აღარ დაფიქსირებულა, თუმცა, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება იმ საქმეთა გამოძიება, რომლებიც სამართალდამცავთა მხრიდან შესაძლო დანაშაულის ჩადენა იკვეთება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2016 წელს გამოსცა ანგარიში, სადაც 2013 წლიდან 2016 წლის ივლისის მდგომარეობით, საიას წარმოებაში არსებულ 21 საქმეზე დაყრდნობით, გააანალიზა, რამდენად ეფექტური იყო სამართალდამცავთა მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება, პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა.<sup>1</sup> საქმეების შესწავლამ ნათლად აჩვენა ის საკანონმდებლო თუ პრაქტიკაში არსებული ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლის არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციას და მათზე სათანადო რეაგირებას.

წინამდებარე ანგარიშში გაანალიზებულია არასათანადო მოპყრობის ის საქმეები, რომელთა იდენტიფიცირებაც საიამ 2017-2018 წლებში მოახდინა. ანგარიში ასევე მიმოიხილავს კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს, რომლებიც არსებითად უშლის ხელს არასათანადო მოპყრობის საქმეების ფაქტებზე ეფექტურ რეაგირებასა და პრევენციას.

<sup>1</sup> საიას ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე - <https://bit.ly/2qJ0RhQ>

## მეთოდოლოგია

ანგარიშში განალიზებულია არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით 2017-2018 წლებში კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები და ის ხარვეზები, რომლებიც ცვლილებების მიუხედავად კვლავ არსებობს საკანონმდებლო დონეზე. ასევე, ანგარიშში მოცემულია იმ სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების შესწავლის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები, რომლებიც პენიტენციარული დაწესებულების თანამშრომელთა და სამართალდამცავთა მხრიდან განხორციელებულ შესაძლო წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან არის დაკავშირებული.

ანგარიშში წარმოდგენილი მსჯელობა ეფუძნება შემდეგი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას:

- **საჯარო ინფორმაცია** – შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვნილი იყო ინფორმაცია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე დაკავებულ პირთა რაოდენობის, მათი მოთავსების ადგილისა და სამართალდარღვევის ოქმების შედგენის თაობაზე;
- **პენიტენციარულ დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმართა წერილები** – ანგარიშში ასახულია საქართველოს მასშტაბით არსებული პენიტენციარული დაწესებულებებიდან 2018 წლის განმავლობაში საიაში პატიმართა მიერ გამოგზავნილი 310 წერილი;
- **სისხლის სამართლის საქმის მასალები** – ანგარიში მოიცავს თბილისში, გორსა და ბათუმში მიმდინარე 12 სისხლის სამართლის საქმის ანალიზს, რომლებშიც საია 2017-2018 წლებში ჩაერთო. აღნიშნულ საქმეებში იკვეთება სამართალდამცავთა და პენიტენციარული დაწესებულებების თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებები. ამათგან 7 შემთხვევა – 2017 წელს, ხოლო 5 – 2018 წელს მოხდა. მოცემული საქმეებიდან 11 შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მომუშავე სამართალდამცავების მიერ განხორციელებულ სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებებს, ხოლო 1 საქმეში პენიტენციარული დაწესებულების თანამშრომლები ფიგურირებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საიას ადვოკატები აღნიშნულ საქმეებში ჩართულნი არიან მსხვერპლთა ინტერესების დაცვის მიზნით, თუმცა, მათ არ მიეცათ ყველა საქმის მასალებზე წვდომის შესაძლებლობა. შესაბამისად, საქმეები გაანალიზდა ანგარიშის მომზადების დროისათვის ადვოკატების ხელთ არსებულ მასალებსა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ მათგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;

- **ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალები** – ანგარიშის მიზნებისთვის შესწავლილია საიას წარმოებაში არსებული 4 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.
- **კანონმდებლობისა და რელევანტური საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი** – ანგარიშის ფარგლებში გაანალიზდა არასათანადო მოპყრობის პრევენციასა და მსგავსი შემთხვევების ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით 2017-2018 წლებში კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, ასევე, ის ხარვეზები, რომლებიც ცვლილებების მიუხედავად საკანონმდებლო დონეზე კვლავ რჩება.

### **ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები**

2017-2018 წლებში, არასათანადო მოპყრობის შემთხვევების პრევენციის მიზნით, კანონმდებლობაში შევიდა პოზიტიური ცვლილებები, თუმცა, ისინი არასაკმარისია. ცალკეული საკანონმდებლო აქტები საჭიროებს ძირეულ გადახედვას და არსებითად შეცვლას. კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პროკურატურის ორგანოების მიერ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების არაეფექტურობა.

- სამართალდამცავთა მხრიდან სავარაუდოდ ცემის თუსხვაგვარი ძალადობის შესახებ მსხვერპლთა მიმართვაზე, როგორც წესი, გამოძიება იწყება, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში იკვეთება გამოძიების დაგვიანებით დაწყების პრობლემა;
- შემთხვევათა უმრავლესობაში სამართალდამცავთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების მსხვერპლებს უარი ეთქვათ გამოძიების ფარგლებში დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე;

- პროკურორის დადგენილება დაზარალებულად ცნობის შესახებ უარის თქმის თაობაზე, როგორც წესი, არ არის სათანადოდ დასაბუთებული და გამყარებული შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებებითა და არგუმენტებით;
- ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულებზე დაზარალებულად ცნობის თაობაზე პროკურორის უარის გასაჩივრების მექანიზმი არ იყო ეფექტური. დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით არ ფიქსირდება შემთხვევა ზემდგომი პროკურორის მიერ ქვემდგომი პროკურორის უარის შეცვლის შესახებ. ამასთან, დაზარალებულს კვლავაც ეზღუდება საქმის მასალების ასლების გადაღების შესაძლებლობა; კანონმდებლობა დაზარალებულებს არ აძლევს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილების შესახებ ზემდგომი პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა;
- თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ფიქსირდება განსხვავებული მიდგომა გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლთა ინფორმირების კუთხით;
- განხილულ საქმეთა დიდ უმრავლესობაში გამოძიება რაიმე კონკრეტულ შემთხვევებზე შედეგამდე ვერ მივიდა, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების დაწყებიდან სულ მცირე 6 თვეა გასული;
- პირები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ დაექვემდებარნენ სამართალდამცავთა მხრიდან ცემას ან მათ მიმართ ადგილი ჰქონდა სხვა სახის უფლებამოსილების გადამეტებას, რიც შემთხვევაში სამართალდამცავთათვის წინააღმდეგობის გაწევისა და დაუმორჩილებლობის მოტივით, თავად ვებდებიან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტები, ხოლო ერთ შემთხვევაში პირი დაექვემდებარა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას;



- სამართალდამცავების კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას, ძირითადად, არ ხდება ფაქტების სათანადოდ გამოკვლევა და გადაწყვეტილება მხოლოდ პოლიციელთა მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეფუძნება.

## **რეკომენდაციები:**

### **საქართველოს პარლამენტს:**

- დროულად დაიწყოს ფუნქციონირება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა. ასევე, საქართველოს პარლამენტმა შეისწავლოს ის მიზეზები, რომლებმაც „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ლ იანვარს ამოქმედებას შეუშალა ხელი და მისი 6 თვით გადავადება გამოიწვია;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდეს ცვლილებები, რითაც ცხადად განისაზღვრება დაზარალებულის უფლება - მიიღოს/გადაიღოს სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები. ასევე, ყველა კატეგორიის დანაშაულზე დაზარალებულს მიეცეს უფლება, გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ზემდგომი პროკურორის პასუხი გაასაჩივროს სასამართლოში;
- გატარდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ძირეული რეფორმა, რომლის შედეგად შესაძლებელი იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის მიღება;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მსგავსად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც მკაფიოდ განისაზღვროს მოსამართლის როლი წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით;
- კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილებები, რომლითაც პოლიციელი ვალდებული იქნება სამართალდარღვევაზე რეაგირებისას ან/და დაკავებისას უწყვეტად აწარმოოს ვიდეოგადაღება.

## **შინაგან საქმეთა სამინისტროს**

- დროულად მოხდეს დაკავებული პირის მოთავსება დროებითი მოთავსების იზოლატორში და აღმოიფხვრას დაკავებულის პოლიციის მანქანასა თუ შენობაში მოთავსების პრაქტიკა;

## **საქართველოს პროკურატურას**

- სწრაფად და ეფექტურად აწარმოოს სამართალდამცავთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება და მათზე საპროცესო ზედამხედველობა;
- უზრუნველყოს სავარაუდო დანაშაულის მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება, რათა გაიზარდოს საქმის გამოძიებაში მათი ჩართულობისა და ინფორმირებულობის ხარისხი.

# 1. კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები და არსებული გამოწვევები

## 1.1. დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმი

მრავალი წლის განმავლობაში დღის წესრიგში იდგა დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმის შექმნა, რომელიც სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს გამოიძიებდა.<sup>2</sup> დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმის შექმნის საჭიროებაზე ყურადღება გამახვილებულია 2014 წლის ივნისში საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებულ ასოცირების შესახებ შეთანხმებასა და მის თანმხლებ 2014-2016 წლების ასოცირების დღის წესრიგშიც. დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმის შექმნას აქტიურად უჭერენ მხარს ადამიანის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები.<sup>3</sup>

2018 წლის 21 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“, რომლითაც, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნაცვლად, შეიქმნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს კანონმა სხვა საკითხებთან ერთად, არასათანადო მოპყრობის საქმეებზე გამოძიების წარმოების უფლებამოსილება მიანიჭა.<sup>4</sup> კანონის ამოქმედების ვადად 2019 წლის 1 იანვარი

<sup>2</sup> ა. Thomas Hammarberg, Georgia in Transition, 2013, გვ 26. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: [http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/human\\_rights\\_2012/20130920\\_report\\_en.pdf](http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/human_rights_2012/20130920_report_en.pdf);

ბ. საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულებების გამოძიების პრაქტიკა, საკანონმდებლო რეგულაციები და ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტები, 2014;

<sup>3</sup> იხ. მაგალითად, კოალიციის „გამჭვირვალე და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის“ 2017 წლის მიმართვა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისადმი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.coalition.ge/files/letter\\_to\\_the\\_committee\\_of\\_ministers.eng.pdf](http://www.coalition.ge/files/letter_to_the_committee_of_ministers.eng.pdf)

<sup>4</sup> „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამომიებო ქვემდებარობა ვრცელდება:

ა) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup> მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე, თუ იგი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ;

განისაზღვრა.

წლების განმავლობაში გამოკვეთილი გამოწვევის საპასუხოდ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნა წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა, ახალშექმნილი სახელმწიფო ინსპექტორის მანდატი და კომპეტენცია შეზღუდულია, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მის ეფექტურობასა და დამოუკიდებლობას. დანაშაულთა გარკვეული კატეგორია, მექანიზმის მიღმა დარჩენილი. პროკურატურა ინარჩუნებს სისხლისსამართლებრივი დევნის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური შემოიფარგლება მხოლოდ საგამოძიებო კომპეტენციით მაშინ, როდესაც არსებული კანონმდებლობის თანახმად, საპროკურორო ზედამხედველობიდან გამომდინარე, გამოძიებას პრაქტიკულად პროკურატურა წარმართავს.<sup>5</sup> სახელმწიფო ინსპექტორის შეზღუდული მანდატისა და უფლებამოსილებების მიუხედავად, არსებითად მნიშვნელოვანი იყო მისი განსაზღვრულ ვადაში - 2019 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედება. ამიტომ განსაკუთრებით უარყოფით შეფასებას იმსახურებს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ამოქმედებამდე რამდენიმე დღით ადრე, საქართველოს პარლამენტის მიერ დაჩქარებული წესით „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა. კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2019 წლის 1-ლი იანვრის ნაცვლად, მისი ამოქმედება კიდევ 6 თვით გადავადდა. განმარტებით ზარათში ცვლილებების განხორციელების არგუმენტად მითითებულია, რომ ვადის გადაწევა „შესაძლებლობას მისცემს შესაბამის უწყებებს,

---

ბ) სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულზე, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციარულ დაწესებულებაში ანდა ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფლის დატოვება, ანდა აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ;

<sup>5</sup> იხ. ა. კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ კომენტარები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით, [http://coalition.ge/index.php?article\\_id=185&clang=0](http://coalition.ge/index.php?article_id=185&clang=0);

ბ. საიას და „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ცენტრის“ (EHRAC) მიერ მინისტრთა კომიტეტში წარდგენილი ერთობლივი მოსაზრებები ე.წ. ცინცაბადის ჯგუფის საქმეებზე, <https://bit.ly/2PtXPm8>;

განახორციელონ საჭირო სამართლებრივი, ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები კანონით გათვალისწინებულ ფუნქციათა 2019 წლის 1-ლი ივლისიდან სრულად ასამოქმედებლად და საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების სათანადოდ შესასრულებლად.<sup>6</sup> აღნიშნული განმარტება არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად რეფორმის გადავადების გასამართლებლად და, მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტმა შეისწავლოს მიზეზები, თუ რატომ ვერ მოხერხდა საჭირო ღონისძიებების გატარება 2018 წელს, რათა დადგენილ ვადაში (2019 წლის 1-ლი იანვრისთვის) შესაძლებელი ყოფილიყო კანონის შესაბამისი მუხლების ამოქმედება.

## **1.2. მოსამართლის როლის გაზრდა არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიმართულებით**

მოსამართლეებს აკისრიათ განსაკუთრებული როლი, ჯეროვანი რეაგირება მოახდინონ, როდესაც პირს ემჩნევა არასათანადო მოპყრობის კვალი და მოსამართლეს, როგორც ობიექტურ დამკვირვებელს, წარმოექმნა ან უნდა წარმოქმნოდა ეჭვი, რომ პირი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას.<sup>7</sup>

საქართველოს კანონმდებლობა 2018 წლის 21 ივლისამდე არ ითვალისწინებდა შესაძლებლობას, არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მოსამართლეს გამოძიების დაწყების მოთხოვნით შესაბამისი ორგანოებისთვის მიემართა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2018 წელს შესული ცვლილებებით (რომლის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2019 წლის 1-ლი ივლისი), მოსამართლე უფლებამოსილია, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მიმართოს საგამოძიებო უწყებას, თუ გაუჩნდება ეჭვი, რომ ბრალდებული/მსჯავრდებული არის წამების, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი. აღნიშნული უფლებამოსილება მოსამართლეს აქვს მაშინაც, როდესაც ამგვარი მოპყრობის შესახებ მას თავად ბრალდებული/მსჯავრდებული განუცხადებს. ასევე, თუ

<sup>6</sup> განმარტებითი ბარათი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ - <https://bit.ly/2SkaSZw>;

<sup>7</sup> CPT/Inf/E (2002) 1, p. 14, para 45.

პენიტენციარულ დაწესებულებაში მყოფი ბრალდებულის/ მსჯავრდებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება, ან/და, თუ მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდა, ან, შესაძლოა, განხორციელდეს წამება, დამამცირებელი ან/ და არაადამიანური მოპყრობა, მოსამართლე უფლებამოსილია, განჩინებით დაავალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციარული სამსახურის -გენერალურ დირექტორს ასეთი ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი განსაკუთრებული ზომების მიღება.<sup>8</sup>

არასათანადო მოპყრობის პრევენციისა და მასზე რეაგირების თვალსაზრისით, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებაა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2014 წლის 24 ივლისის ცვლილების შემდგომ, რომლითაც გაიზარდა მოსამართლის პასუხისმგებლობა - საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე დარწმუნდეს, რომ ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება „დადებულია წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების [...] გარეშე“.<sup>9</sup>

მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, პრობლემად რჩება ის, რომ მსგავსი რეგულაცია მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშია ასახული. ცვლილება არ შეეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს, რომლის გამოყენებითაც ადმინისტრაციული მოსამართლე განიხილავს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირთა საქმეებს. ანგარიშში მოცემული საქმეების უმრავლესობა ასახავს პოლიციასთან კონტაქტის ისეთ შემთხვევებს, რომლებიც დაიწყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კონტექსტში. თუკი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მოსამართლის წინაშე წარდგება პირი, რომელსაც არასათანადო მოპყრობის კვალი აღენიშნება, კანონმდებლობა არ ადგენს ადმინისტრაციული მოსამართლის ცხად უფლებამოსილებას - რეაგირების მიზნით

<sup>8</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 191<sup>1</sup> მუხლი.

<sup>9</sup> სსსკ-ის 212-ე მუხლი.

მიმართოს საგამოძიებო ორგანოს. მართალია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი შეიცავს მითითებას, რომ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისგან“,<sup>10</sup> თუმცა, აღნიშნული ჩანაწერი არ იძლევა საკმარის გარანტიას, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი მოსამართლე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ უფლებამოსილებას გამოიყენებს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც მკაფიოდ განისაზღვროს მოსამართლის როლი წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით, ისევე, როგორც ეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებებით არის დადგენილი.

### **1.3. დაზარალებულის სტატუსი და უფლებები**

პირის მიმართ ჩადენილი დანაშაულის გახსნა, ეფექტური გამოძიება, დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია, დამნაშავის უტყუარად იდენტიფიცირება და მისთვის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება არის დაზარალებულის ინტერესი. დაზარალებული არის სისხლისსამართლებრივი პროცედურების დაწყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი და მას, ობიექტურად, ყველაზე დიდი ინტერესი აქვს მართლმსაჯულების შედეგების მიმართ.

დაზარალებულად ცნობა მნიშვნელოვანია საქმის საწყის სტადიაზე, რათა მსხვერპლს ჰქონდეს ინფორმაცია საქმეზე მიმდინარე გამოძიების თაობაზე და აქტიურად შეძლოს მასში ჩართვა. ხოლო თუ საქმის მიმდინარეობისას დადგინდება, რომ პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველი აღარ არსებობს, პროკურორს კანონმდებლობა აძლევს საშუალებას, მიიღოს გადაწყვეტილება დაზარალებულად ცნობის დადგენილების გაუქმების თაობაზე, რის შესახებაც დაზარალებულს წერილობით ეცნობება.

<sup>10</sup> ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მე-2 მუხლი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ საქმეში მიუთითებს დანაშაულის მსხვერპლთა უფლებებისა და ინტერესების სათანადოდ დაცვის, გამოძიების პროცესში მათი ჩართულობის აუცილებლობაზე. ჩართულობა მოიცავს როგორც გამოძიების შედეგების, ისე მისი მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. დანაშაულის მსხვერპლებს უფლება აქვთ, ხელი მიუწვედებოდეთ ინფორმაციაზე სამართალწარმოებაში მათი როლისა და სისხლის სამართლის საქმის ფარგლების, ვადებისა და მიმდინარეობის თაობაზე, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება მძიმე დანაშაულს. კერძოდ, უფლება აქვთ, იცოდნენ სისხლის სამართლებრივი დევნის ან ამგვარ დევნაზე უარყოფითი გადაწყვეტილების თაობაზე, იცოდნენ გასაჩივრების ან გასაჩივრებაზე უარის გადაწყვეტილების შესახებ და ხელი მიუწვედებოდეთ საქმის მასალებზე.<sup>11</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-13 მუხლზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი გულისხმობს არა მხოლოდ კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას, არამედ უფლებას ეფექტურ გამოძიებაზე, რაც ასევე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირებისა და დასჯის წინაპირობაა.<sup>12</sup>

მიუხედავად კანონმდებლობაში განხორციელებული ცალკეული პოზიტიური ცვლილებებისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაზარალებულთა უფლებების ეფექტურად დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს:

- **დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გასაჩივრების უფლება**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებებით,<sup>13</sup> რომელთა ამოქმედების ვადად 2019 წლის 1-ლი

<sup>11</sup> ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1985 წლის 28 ივნისის რეკომენდაცია No. R (85) 11 „სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში დაზარალებულის მდგომარეობის შესახებ“;

<sup>12</sup> Kaya v. Turkey (განაცხადი: 158/1996/777/978), 1998, პარ.107.

<sup>13</sup> საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, მიღების თარიღი 21/07/2018, გამოქვეყნების თარიღი 09/08/2018.



იანვარი განისაზღვრა, დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელიც, კანონის თანახმად, **სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა**. შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებების მიხედვით, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, პირს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიებისადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.<sup>14</sup> სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ კანონის<sup>15</sup> მიხედვით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup> მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები, თუ ისინი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ.

განხორციელებული ცვლილებები ნაწილობრივ აგვარებდა დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის გასაჩივრების პრობლემას, თუმცა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის განსჯად საქმეებში არ ექცევა ის მუხლები (სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე და 333-ე მუხლების პირველი ნაწილები), რომლებითაც, რიგ შემთხვევებში წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეებზე გამოძიება იწყება.

აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა შესაძლებელი გახდა საკონსტიტუციო სასამართლოში სტრატეგიული სამართალწარმოების შედეგად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წლის 14 დეკემბერს გამოაცხადა გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ზვიკა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. აღნიშნულ საქმეში მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმას, რომელიც ნაკლებად მძიმე და

<sup>14</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 56 (5).

<sup>15</sup> სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონი, მუხლი 19 (1(ა)).

მძიმე დანაშაულის საქმეებზე პირის დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით ზემდგომი პროკურორის უარის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას არ იძლეოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული შეზღუდვა არაკონსტიტუციურად მიიჩნია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით (გადაწყვეტილების მიღების დროისთვის მოქმედი რედაქცია) აღიარებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებასა და მე-14 მუხლით დაცულ თანასწორობის უფლებასთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში ხაზი გაუსვა, რომ დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირს კანონი ანიჭებს მნიშვნელოვან უფლებებს, რომელთა მეშვეობითაც მას უჩნდება სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას გარკვეული პროცედურული გარანტიები და შესაძლებლობა, ჰქონდეს ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის შესახებ, ასევე, აღიჭურვოს ბრალდების მხარის კონტროლის ბერკეტებით. შესაბამისად, პირს აქვს დაზარალებულის სტატუსთან დაკავშირებით პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების მომეტებული ინტერესი. გადაწყვეტილებაში ასევე აღინიშნა, რომ სასამართლოს გადატვირთვისა და მართლმსაჯულების შეფერხების ხელშესახები მტკიცებულებებით დადასტურების გარეშე, მხოლოდ სასამართლოს გადატვირთვაზე ზოგადი მითითება ვერ გაამართლებს სადავო ნორმებით გათვალისწინებულ იმგვარ ბლანკეტურ შეზღუდვას, რომელიც არ ითვალისწინებს დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ხარისხს და კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობის მნიშვნელობას.

- **გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ზემდგომი პროკურორის დადგენილების გასაჩივრების უფლება**

პრობლემად რჩება სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების შეწყვეტის შესახებ ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების საკითხი. მოქმედი კანონმდებლობა დაზარალებულს უფლებას აძლევს, გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის

შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია **განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული**, რომელიც, კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს განჩინება გამოაქვს 15 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.<sup>16</sup>

მნიშვნელოვანია, რომ, როგორც განსაკუთრებით მძიმე, ასევე ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში, დაზარალებულს უფლება ჰქონდეს, გაასაჩივროს/შეამოწმოს სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების/დევნის დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე ზემდგომი პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. საკანონმდებლო დონეზე ამგვარი გარანტიის არარსებობა პროკურატურას უტოვებს მნიშვნელოვან ბერკეტს, ძალაუფლება გამოიყენოს თვითნებურად, ვინაიდან არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების სასამართლოს მეშვეობით შემოწმების შესაძლებლობას.

- **საქმის მასალების ასლების მიღების უფლება**

კიდევ ერთი ხარვეზი, რომელიც დაზარალებულის უფლებების სრულყოფილ რეალიზებას უშლის ხელს, საქმის მასალების ასლების მიღებას უკავშირდება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. აღნიშნული მუხლი დაზარალებულს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნოს საქმის მასალებს (წაიკითხოს,

<sup>16</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 106-ე მუხლი, 1<sup>1</sup> პუნქტი.

გააკეთოს ჩანაწერები), თუმცა, ეს უფლება არ მოიცავს საქმის მასალების ასლების გადაღების შესაძლებლობას.

მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობით განისაზღვროს დაზარალებულის უფლება, მიიღოს სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს.<sup>17</sup>

#### **1.4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა**

##### **1.4.1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის გამოყენების მასშტაბები**

წარმოდგენილ ანგარიშში გაანალიზებული 12 სისხლის სამართლის საქმიდან 5 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მსხვერპლთა დაკავებას ადმინისტრაციული წესით, ხოლო 4 საქმეზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) ან/და 173-ე მუხლების (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) საფუძველზე და საქმე წარიმართა სასამართლოში. ამდენად, ის, თუ როგორ არეგულირებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა დაკავების ან საქმის განხილვის პროცესს, მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციასთან.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის გამოყენებით, ყოველდღიურად პოლიციას არაერთ მოქალაქესთან აქვს პირდაპირი კონტაქტი. ადმინისტრაციული დაკავების ზუსტი სტატისტიკის გამოთხოვნის მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განცხადებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუმცა, ზუსტი ინფორმაციის მიღება ვერ მოხდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, არ ხდება სტატისტიკის წარმოება იმის შესახებ, თუ რამდენი

---

<sup>17</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე - „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, მე-2 თავი, 52-ე პუნქტი.

პირი იყო დაკავებული ადმინისტრაციული წესით. შინაგან საქმეთა სამინისტროდან მხოლოდ იმ ინფორმაციის მოპოვება მოხერხდა, თუ რამდენი პირი გადაიყვანეს ადმინისტრაციული წესით დროებითი მოთავსების იზოლატორში. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებში ადმინისტრაციული წესით გადაყვანილი იყო 5656 პირი, ხოლო 2018 წელს (14 დეკემბრის მონაცემებით) – 4956. შეიძლება ითქვას, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავების მასშტაბი უფრო დიდია, ვიდრე იმ პირთა რაოდენობა, რომელთა მოთავსებაც იზოლატორებში მოხდა. ამის თქმის საფუძველს იძლევა პოლიციის პრაქტიკა,<sup>18</sup> როდესაც ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების გადაყვანა არ ხდება იზოლატორში და პოლიცია მათ საპატრულო პოლიციის მანქანაში, პოლიციის შენობასა ან შენობის სიახლოვეს, ეზოში ამყოფებს.

მსგავსი პრაქტიკა სამართალდამცავთა მხრიდან თვითნებობის ფართო შესაძლებლობას იძლევა და ხელს უშლის დაკავებული პირის სამედიცინო შემოწმების ჩატარებას. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დაკავებულ პირს იზოლატორის საკანში მოთავსების წინ უტარდება პირველადი სამედიცინო შემოწმება, რა დროსაც სამედიცინო მუშაკი გამოიკითხავს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ხოლო შემდგომ ხდება ამ მონაცემების დოკუმენტირება და, ასევე, ვიზუალური დათვალიერება - სხეულზე არსებული დაზიანებების სრულად დაფიქსირების მიზნით. თუ სამედიცინო მუშაკი მიიჩნევს, რომ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლევა მისი იზოლატორში მოთავსების შესაძლებლობას, დაკავებული გადაჰყავთ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში.<sup>19</sup>

---

<sup>18</sup> საიას და EMC-ის ერთობლივი ანგარიში -, „12 მაისი - მასშტაბური საპოლიციო ოპერაცია თბილისის კლუბებში“, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <https://bit.ly/2Qhr80h>.

<sup>19</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტო ბრძანება №423 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცები შესახებ.

#### 1.4.2. პროცედურული გარანტიების არარსებობა

დღეისთვის მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი პასუხისმგებლობას ადგენს არაერთი გადაცდომისთვის, რომელიც თავისი ბუნებით სისხლისსამართლებრივია. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ის უფლებები, რომლებიც გარანტირებულია სამართლიანი განხილვის უფლების ქვეშ, გავრცელდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე. არსებული რეალობა ამ გარანტიებისგან საგრძნობლად არის დაშორებული. დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ცალკეული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ითვალისწინებს მძიმე სახდელებს, მათ შორის, ადმინისტრაციულ პატიმრობას, რაც თავისი ბუნებით მოითხოვს სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიების გამოყენებას. მიუხედავად ამისა, არსებული კოდექსი არ შეიცავს საკმარის პროცედურულ გარანტიებს, მაგალითად, კოდექსი არ ითვალისწინებს უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნებს; მოსამართლეს არ ავალდებულებს, იხელმძღვანელოს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით. საქმის განხილვის და სანქციის გამოყენების შემჭიდროებული პროცედურები ვერ უზრუნველყოფს ეფექტიანი წარმომადგენლობის განხორციელებას (არსებული პრაქტიკით, როგორც წესი, საქმის განხილვა 10-15 წუთს გრძელდება). ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის არსებული ფორმით მოქმედება იწვევს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების და საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების განხილვისა და სამართალწარმოებისთვის დამახასიათებელ ფუნდამენტურ ხარვეზებზე მიუთითებს საქართველოს სახალხო დამცველიც: „კოდექსი სრულყოფილად არ არეგულირებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების პროცედურულ საკითხებს, სათანადოდ არ უზრუნველყოფს პირს სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი ელემენტებით, არ არის განსაზღვრული მტკიცებულებათა მოპოვების, გამოკვლევის და შეფასებისწესი. სამართალდამრღვევად პირის ცნობისთვის საჭირო მტკიცებულების სტანდარტის არარსებობა მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის პრაქტიკაში. ამასთან, დადგენილებაში საქმის განხილვისას დადგენილ გარემოებათა დამადასტურებელი მტკიცებულებების

მითითების ვალდებულების არარსებობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, სასამართლოს გადაწყვეტილებათა დაუსაბუთებლობას განაპირობებს; სასამართლოს გადაწყვეტილებების უმრავლესობა დაუსაბუთებელია და შაბლონური ხასიათი აქვს, ყველა მტკიცებულება ერთი ორგანოს/პირის მიერ არის მოპოვებული და მტკიცებულებათა ერთობლიობა მხოლოდ ფორმალურად არსებობს. მტკიცების ტვირთის განაწილების წესისა და მტკიცების სტანდარტების არარსებობის გამო, მხოლოდ ოქმის სისწორის ფორმალური კანონიერება მოწმდება გაზიარებული ან უარყოფილი მტკიცებულებების მიუთითებლად.<sup>20</sup>

მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე რეაგირებისას პოლიციის მიერ სამხრე კამერის გამოყენების თვალსაზრისით კანონმდებლობაში არსებული რეგულაცია. კანონმდებლობა არ ადგენს ცალსახა ვალდებულებას, რომ სამართალდარღვევის ფაქტზე რეაგირებისას პოლიციამ სამხრე კამერით უწყვეტად აწარმოოს ვიდეოგადაღება, არამედ მხოლოდ პოლიციელის უფლებამოსილებად ადგენს ვიდეოგადაღების წარმოებას. აღნიშნული რეგულაცია ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობას მნიშვნელოვნად ამცირებს.<sup>21</sup>

### **1.4.3. ადმინისტრაციული დაკავების მექანიზმი**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ დაკავებას, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიებას, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია კანონით გათვალისწინებული კონკრეტული საფუძვლების არსებობისას.

<sup>20</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2017 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 114-115, ხელმისაწვდომია ქართულად <http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5139.pdf> [ბოლოს ნანახია 2018 წლის 16 ივლისს].

<sup>21</sup> „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 27; საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის ბრძანება N1310 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 14, პუნქტი 1, „ე“ ქვეპუნქტი.

წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პოლიციის მიერ დაკავებულ პირთა სამ უფლებას:

- უფლებას, თავისი დაკავების ფაქტის შესახებ შეატყობინოს მესამე მხარეს, რომელსაც თვითონ აირჩევს (ოჯახის წევრს, მეგობარს, საკონსულოს);
- უფლებას, ჰყავდეს ადვოკატი;
- უფლებას, მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება იმ ექიმის მიერ, რომელსაც აირჩევს (დამატებით, ნებისმიერი სამედიცინო შემოწმება პოლიციის მიერ მოყვანილი ექიმის მიერ).

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის აზრით, ეს არის ფუნდამენტური საშუალებები დაკავებული პირების არასათანადო მოპყრობისგან დასაცავად, რომლებიც გამოიყენება თავისუფლების აღკვეთის საწყის ეტაპზე, იმის მიუხედავად, თუ როგორ აისახება ეს ეტაპი ამა თუ იმ სამართლებრივ სისტემაში (დაკავება, თავისუფლების აღკვეთა, სხვა).<sup>22</sup>

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული დაკავების დროს დამკავებელი მოხელე ვალდებულია, დაკავებულს დაკავებისთანავე გასაგები ფორმით განუმარტოს:

- მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და დაკავების საფუძველი;
- უფლება, ჰყავდეს ადვოკატი;
- უფლება, მისი სურვილის შემთხვევაში, მისი დაკავების ფაქტი და ადგილსამყოფელი ეცნობოს მის მიერ დასახელებულ ახლობელს, აგრეთვე, მისი სამუშაო ან სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციას.<sup>23</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სამართალდარღვევათა კოდექსი ადგენს დაკავებული პირისთვის დაკავებისთანავე უფლებების განმარტების ვალდებულებას, კოდექსით არ არის განსაზღვრული,

<sup>22</sup> <https://rm.coe.int/16806cea2f>.

<sup>23</sup> ასკ-ის 245-ე მუხლი.



რა ვადაში უნდა მიეცეს დაკავებულს აღნიშნული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა. ეს ქმნის რისკს, რომ პირს შეეზღუდოს დაკავებისთანავე ამ უფლების რეალიზების საშუალება და, ამის საპირისპიროდ, დაკავების ფაქტის შეტყობინების უფლება მხოლოდ რამდენიმე საათის გასვლის შემდგომ მიეცეს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი დაკავების მაქსიმალურ ვადად 12 საათს ადგენს, თუმცა, თუ პირი დააკავეს არასამუშაო დროს, მისი გაჩერება დროებითი მოთავსების იზოლატორში შესაძლებელია 48 საათის განმავლობაში.<sup>24</sup> შესაბამისად, იმის მიხედვით, პირი დაკავებულია სამუშაო თუ არასამუშაო დროს, დაკავების განსხვავებული ვადებია დადგენილი, რაც გაუმართლებლად ზღუდავს არასამუშაო დროს დაკავებული პირების უფლებებს.<sup>25</sup>

მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს ისიც, რომ სამართალდარღვევის საქმის განმხილველი მოსამართლე არ ამოწმებს დაკავების კანონიერებას. სამართალდარღვევის საქმის განხილვა კანონით დადგენილ შემჭიდროებულ ვადებში ხდება, ხოლო დაკავების კანონიერების შემოწმება სამართალდარღვევის საქმისგან დამოუკიდებლად, ცალკე წარმოებად შეიძლება მიმდინარეობდეს. აღნიშნული პროცესი, შესაძლოა, რამდენიმე წელს გაგრძელდეს, რაც სამართალდამრღვევად ცნობილი პირისთვის არაეფექტურს ხდის დაკავების კანონიერების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რადგან პროცესის დასრულების მომენტისთვის პირი შეიძლება უკვე აღარც ითვლებოდეს ადმინისტრაციულ სახდელდადებულად. დაკავებულ პირს არ განემარტება დაკავების გასაჩივრების უფლება და ვადები. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმა საერთოდ არ შეიცავს გრაფას, სადაც განმარტებულია დაკავების გასაჩივრების უფლება.

ასევე, როგორც წესი, პოლიცია დაკავების ოქმში არ უთითებს დაკავების კონკრეტულ საფუძველს, რაც ართულებს პოლიციის

<sup>24</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლი.

<sup>25</sup> საიას და EHRAC-ის მიერ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისთვის გაგზავნილი ერთობლივი წერილობითი მოსაზრებები, პარაგრაფი 4.3.1. <https://bit.ly/2AiCszzy>.

მოქმედების კანონიერების შემოწმებას. ზოგ შემთხვევაში, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, გამოიყენება დაკავების მაქსიმალური ვადა. პოლიცია დაკავებას იყენებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს დაკავების შესაძლებლობას.<sup>26</sup>


## 2. პენიტენციარული დაწესებულებებიდან მიღებული კორექციონდენსიების ანალიზი

პირები, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში იმყოფებიან, არიან არასათანადო მოპყრობის მაღალი რისკის ქვეშ. ამ რისკებთან ბრძოლა მნიშვნელოვნად ეფუძნება პრევენციულ მიდგომებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში პენიტენციარული დაწესებულების მონიტორინგის ერთადერთ შესაძლებლობას წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმი. შესაბამისად, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მოკლებული იყო შესაძლებლობას, 2018 წლის განმავლობაში პენიტენციარულ დაწესებულებებში პატიმართა მდგომარეობის მონიტორინგი ეწარმოებინა დაწესებულებებში ვიზიტით.

2018 წლის მანძილზე სხვადასხვა პენიტენციარული დაწესებულებიდან საიამ პატიმართა 310 წერილი მიიღო (მონაცემებში შესულია ერთი პატიმრის მიერ რამდენჯერმე გამოგზავნილი წერილებიც). წერილებში 12 პატიმარი მიუთითებდა მათ მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, მათ შორის, 2 პატიმარი საუბრობდა 2012 წლამდე მომხდარ შემთხვევებზე. არასათანადო მოპყრობის შესახებ საიამი შემოსული წერილებიდან მხოლოდ ერთი შეეხებოდა 2018 წელს პენიტენციარული დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტს. აღნიშნულ საქმეზე დაწყებულია გამოძიება. დანარჩენი 9 წერილი პოლიციელთა მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს ასახავს, რომელთა ნაწილზე გამოძიება მიმდინარეობს.

<sup>26</sup> „სამართალდარღვევად მიჩნეული პროტესტი“, საია, 2017 წელი <https://gyla.ge/files/news/2008/geo.pdf>.

ციხიდან შემოსული წერილების დიდი უმრავლესობა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე კონსულტაციის მიღებას ან/და ადვოკატის გამოყოფას შეეხებოდა.



### 3. სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე ბამოძიების პროცესის ხარვეზები

#### 3.1. შესავალი

არასათანადო მოპყრობის საქმეებზე ეფექტური გამოძიების წარმოება წარმოადგენს პოზიტიურ ვალდებულებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, იმისათვის, რომ გამოძიებამ დააკმაყოფილოს ეფექტურობის სტანდარტი, საგამოძიებო ორგანოებმა უნდა გადადგან „ყველა გონივრული ნაბიჯი“, რათა მოიპოვონ დანაშაულთან დაკავშირებული ყველა შესაძლო მტკიცებულება, დაადგინონ და დასაჯონ პასუხისმგებელი პირები. იმისათვის, რომ შეფასდეს, ეფექტურია თუ არა გამოძიება, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებს:

- გამოძიება მიმდინარეობს თუ არა გონივრულ ვადებში ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად;

- მიმდინარეობს თუ არა გამოძიება დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად;
- დაზარალებული სათანადოდ არის თუ არა ჩართული გამოძიების პროცესში.

გამოძიების პროცესში დაშვებული ხარვეზები ამცირებს საგამოძიებო ორგანოების შესაძლებლობას, დაადგინონ საქმის ფაქტობრივი გარემოებები და დასაჯონ პასუხისმგებელი პირები, რაც წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ ეფექტური გამოძიების პრინციპებთან.

მოცემულ თავში განხილულია ის ხარვეზები, რომლებიც ანგარიშის ფარგლებში შესწავლილი სისხლის სამართლის საქმეების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა.

### **3.2. ქვემდებარობის განსაზღვრა და გამოძიების დაწყების დაგვიანებული პროცესი**

ანგარიშში გაანალიზებული 12 სისხლის სამართლის საქმიდან, სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიება 4 საქმეზე უშუალოდ საიას ადვოკატის მიმართვის საფუძველზე დაიწყო, ხოლო 8 საქმეზე საია საქმეში გამოძიების დაწყების შემდეგ ჩაერთო.

საგამოძიებო ქვემდებარობის განსაზღვრის წესის თანახმად, პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარობას განეკუთვნება საქმეები: საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს მოსამართლის, სახალხო დამცველის, გენერალური აუდიტორის, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და დესპანის, **პროკურატურის მუშაკის, პოლიციელის**, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის, თანამდებობაზე მყოფი უმაღლესი სამხედრო ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე ოფიცრის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ დანაშაულთა თაობაზე.

საიას მიმართვიდან ორ შემთხვევაში, თავდაპირველად პროკურატურამ განცხადება, საგამოძიებო ქვემდებარობის

განსაზღვრული წესის დარღვევით, იმ რაიონულ პროკურატურაში გადააგზავნა, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც სავარაუდოდ დანაშაული მოხდა. აღსანიშნავია, რომ განცხადებაში ცალსახად იყო მითითებული სავარაუდოდ პოლიციელთა მხრიდან ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე. შესაბამისად, განცხადებები შემდგომი რეაგირებისთვის უნდა გადასცემოდა პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს და არა – რაიონულ პროკურატურას, რომელიც გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი განყოფილებების მეშვეობით ახორციელებს.

მართალია, საბოლოოდ, მათ შორის საიას ადვოკატების მიერ წარდგენილი საჩივრის საფუძველზე, საქმე ქვემდებარობის წესის დაცვით წარიმართა, თუმცა, პროცედურული საკითხის გადაწყვეტამ გააჭიანურა გამოძიების დაწყების პროცესი.

### **3.3. კვალიფიკაცია**

ანგარიშში გაანალიზებულ 12 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით მიმდინარეობს, კერძოდ: სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე, 116-ე, 150-ე, 144<sup>3</sup>-ე და 144<sup>1</sup>-ე მუხლებით გამოძიება მიმდინარეობს თითო-თითო საქმეზე, 6 საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 333-ე მუხლით, ხოლო ერთ საქმეზე - როგორც სსკ-ის 333-ე, ისე 341-ე მუხლებით.

აღსანიშნავია, რომ ხშირად, როდესაც გამოძიება იწყება სამართალდამცავთა მხრიდან სავარაუდოდ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე, საქმეს ძირითადად ენიჭება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული კვალიფიკაცია, რომელიც თავის თავში მოიცავს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას. ზემოაღნიშნული მუხლი საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა და, რიგ შემთხვევებში, სათანადოდ ვერ აღწერს სავარაუდოდ დანაშაულის შემადგენლობას. სავარაუდოდ ძალადობის ფაქტები, როგორც წესი, ხდება დაკავების, დაპატიმრების, დაკითხვის თუ მსხვერპლის სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ ყოფნის დროს. მსგავს ვითარებაში სახელმწიფოს იმ წარმომადგენელთა მხრიდან განხორციელებული ძალადობა, რომელთა მოვალეობაშიც

შედის მოქალაქეთა დაცვა, განსაკუთრებით დამთრგუნველად მოქმედებს მსხვერპლზე და უჩენს მას დაუცველობის განცდას.

სამართალდამცავთა მხრიდან მოქალაქეებზე ფიზიკური ძალადობა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლის (რომელიც წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობასა და დასჯას კრძალავს) დარღვევად განიხილება. **ფიზიკური ძალის გამოყენება პირის მიმართ, რომელსაც შეზღუდული აქვს თავისუფლება, ან უფრო ზოგადად, რომლის წინააღმდეგაც მოქმედებენ სამართალდამცავი პირები, როცა ამგვარი მოპყრობა არსებითად არ არის განპირობებული პირის ქცევით, აკნინებს მის ადამიანურ ღირსებას და წარმოადგენს კონვენციის მესამე მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევას.**<sup>27</sup> ამ მიზეზით, პოლიციის ოფიცრების ნებისმიერი ქმედება პირის წინააღმდეგ, რომელიც ამცირებს ადამიანის ღირსებას, არის კონვენციის მესამე მუხლის დარღვევა. ეს ძირითადად ეხება პოლიციის თანამშრომლების მიერ პირის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენებას, იმ პირობებში, როდესაც ეს არ იყო არსებითად გამოწვეული ამ პირის საქციელით, მიუხედავად პირისათვის დამდგარი შედეგისა. **ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლო ხაზს უსვამს, რომ გარტყმა, რომელიც განხორციელდა სამართალდამცავი ორგანოს ოფიცრის მიერ პირზე, რომელიც მთლიანად მისი კონტროლის ქვეშ იყო, წარმოადგენს პირის ღირსებაზე სერიოზულ თავდასხმას.** სასამართლო მიუთითებს, რომ იმისათვის, რათა დადგინდეს, კონვენციის მესამე მუხლის შესაბამისად, დამამცირებელი მოპყრობა, საკმარისია იმის ჩვენება, რომ მსხვერპლი დამცირებულია საკუთარ თვალში. პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებული უკანონო, პროფესიულ ეთიკასთან შეუსაბამო ქცევამ **შესაძლოა მსხვერპლში წარმოშვას მიკერძოებული მოპყრობის, უსამართლობისა და უძლეულების შეგრძნება.**<sup>28</sup>

<sup>27</sup> CASE OF BOUYID v. BELGIUM, Application no. 23380/09, JUDGMENT, 28 September 2015.

<sup>28</sup> CASE OF BOUYID v. BELGIUM, Application no. 23380/09, JUDGMENT, 28 September 2015, CASE OF RIBITSCH v. AUSTRIA, Application no. 18896/91, JUDGMENT, 4 December 1995.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როდესაც სამართალდამცავთა მიერ სავარაუდო ძალადობრივი ქმედებები იკვეთება იმ პირთა მიმართ, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ, მნიშვნელოვანია, რომ გამოძიება არა ზოგადი სამოხელეო დანაშაულების მუხლებით, არამედ სპეციალური ნორმით - წამების/არასათანადო მოპყრობის კუთხით წარიმართოს.

### **3.4. გამოძიების წარმოებისას გამოვლენილი სხვა ხარვეზები**

იმ საქმეებში, რომლებშიც საიას ადვოკატებს ჰქონდათ საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა (7 საქმე) გამოიკვეთა სხვადასხვა ტიპის მნიშვნელოვანი ხარვეზები. კერძოდ:

- 2 საქმეში დაფიქსირდა საგამოძიებო მოქმედების - ამოცნობის ჩატარებასთან დაკავშირებული პრობლემა. ამოცნობა ის მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებაა, რომელიც მიმართულია სავარაუდო დამნაშავე პირის გამოვლენასთან და მისი ჩატარებლობა მნიშვნელოვნად ამცირებს დანაშაულის გახსნის პერსპექტივას;
- ერთ საქმეში მნიშვნელოვანმა მოწმემ საექვო ვითარებაში შეცვალა საგამოძიებო ორგანოებისთვის მიცემული პირველადი ჩვენება. მოწმის მიერ ჩვენების შეცვლასთან დაკავშირებით, საიას ადვოკატის არაერთი მიმართვის მიუხედავად, პროკურატურამ გამოძიება არ დაიწყო და არ გამოიკვლია, თუ რამ განაპირობა მოწმის მიერ პირველადი ჩვენების შეცვლა, მათ შორის, ხომ არ განხორციელდა მის მიმართ პოლიციელთა მხრიდან იძულება, მუქარა ან დაშინება. ასევე, ინფორმაციათა ურთიერთწინააღმდეგობით ჩნდებოდა ეჭვი, რომ მოწმის მხრიდან გამოკითხვის დროს ადგილი ჰქონდა ცრუ ინფორმაციის მიწოდებას. მიუხედავად ამისა, პროკურატურამ გამოძიება არც ამ მიმართულებით წარმართა.
- ზოგად პრობლემას წარმოადგენს სამართალდამცავის და მოქალაქის ურთიერთობის ვიდეოსამუშაულებით სრულყოფილად ჩაწერა და ამ გზით სავარაუდო ძალადობის

ვაქტებზე მნიშვნელოვანი მტკიცებულებების შექმნა. საქმეთა უმრავლესობაში პოლიციის მხრიდან ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის წესით დაკავება, ჩხრეკა თუ მოქალაქესთან სხვაგვარი კონტაქტის ვიდეოგადაღება ან საერთოდ არ განხორციელებულა, ან განხორციელდა არასრულად, ისე, რომ მათში არ არის დაფიქსირებული სავარაუდო ძალადობის მომენტები. სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობისა თუ უფლებამოსილების გადამეტების პრევენციის კუთხით მნიშვნელოვან როლს ითამაშებს პოლიციელის ვალდებულება, სრულყოფილად და უწყვეტად მოახდინოს მოქალაქესთან კონტაქტის ვიდეოგადაღება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პოლიციის განყოფილებები აღჭურვილი იყოს შესაბამისი ტექნიკით, რათა მოქალაქის დაკითხვის თუ განყოფილებაში ყოფნის პერიოდი აისახოს შესაბამის ვიდეოფირებზე.

### **3.5. დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასა და გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები**

გამოძიების ეფექტურობისა და ობიექტურობის შესაფასებლად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს იმ პირის სათანადო ჩართულობა გამოძიების პროცესში, რომელსაც დანაშაულის შედეგად ზიანი მიადგა. ეფექტური გამოძიების მიზნებისთვის, დაინტერესებული პირი უნდა იყოს სათანადოდ ინფორმირებული გამოძიების მიმდინარეობის, მათ შორის, გამოძიების დაწყებისა და მისი შედეგების თაობაზე. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, გამოძიება უნდა იყოს „მსხვერპლის ოჯახისთვის ხელმისაწვდომი“.<sup>29</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ეროვნული კანონმდებლობის მსგავსად, ითვალისწინებს გამოძიების კონფიდენციალურ ბუნებას და აღნიშნულთან დაკავშირებით ადგენს, რომ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლოა, მიზანშეწონილი არ იყოს სისხლის სამართლის საქმის ირგვლივ დასმულ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა.

<sup>29</sup> მაგალითად, იხ. ხაინდრავა და ძამაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი N18183/05, 2010 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, §60.



თუმცა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისგან განსხვავებით, ევროპული სასამართლო ცალსახად ითვალისწინებს, რომ „მსხვერპლი“ უნდა ფლობდეს საკმარის ინფორმაციას, რაც მას გამოძიების მიმდინარეობის შესახებ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას მისცემს.

შესწავლილი საქმეების ანალიზი აჩვენებს, რომ დაზარალებულის სტატუსის მინიჭება და გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიღება მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. შესწავლილი 12 სისხლის სამართლის საქმიდან მხოლოდ ორ საქმეში მოხდა სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლის დაზარალებულად ცნობა.

აღსანიშნავია, რომ აქედან ერთ შემთხვევაში პირის დაზარალებულად ცნობა მოხდა არა საქმის მწარმოებელი პროკურატურის მიერ, არამედ სასამართლოს მეშვეობით. კერძოდ, ადვოკატის მიმართვაზე მსხვერპლის დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით უარი განაცხადა როგორც საქმის ზედამხედველმა პროკურორმა, ასევე, საჩივარი დაზარალებულად ცნობაზე უარის თაობაზე არ დააკმაყოფილა ზემდგომმა პროკურორმა. ვინაიდან მოცემულ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი წამების კვალიფიკაციით, რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, საქმის მწარმოებელმა ადვოკატმა საჩივრით მიმართა პირველი ინსტანციის სასამართლოს. სასამართლომ გაიზიარა საიას ადვოკატის პოზიცია და შესაბამის პროკურორს სამართალდამცავთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება დაავალა.

ყველა დადგენილება, რომელიც მიღებულია პროკურორის მიერ საქმეში დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე, როგორც წესი, არის შაბლონური შინაარსის და არ შეიცავს დასაბუთებას უარის მოტივთან დაკავშირებით. მასში ასახულია მხოლოდ ზოგადი მითითება, თუ რა მუხლით მიმდინარეობს საქმეზე გამოძიება და რა სტანდარტი არსებობს დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით. უარის თქმის შესახებ დადგენილებაში ასევე მითითებულია, რომ ტარდება საგამოძიებო მოქმედებები და არსებული დროისათვის არ არის გამოკვეთილი კონკრეტული პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველი. დადგენილებები

არ შეიცავს ინფორმაციას, თუ რა საგამომიებო მოქმედებები ჩატარდა და აღნიშნული რატომ არ არის საკმარისი პირის დაზარალებულად ცნობისთვის.

აღსანიშნავია, რომ საქმის ზედამხედველი პროკურორის მიერ მიღებული დადგენილების ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების მექანიზმი არის სუსტი და არ წარმოადგენს რეალური ზედამხედველობის მექანიზმს. აღნიშნულის თქმის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ არ ყოფილა პრეცედენტი, დაზარალებულად ცნობასთან (ან სხვა საკითხთან) დაკავშირებით ზედამხედველ პროკურორს დაეკმაყოფილებინოს საჩივარი და გაეუქმებინოს ქვემდგომის გადაწყვეტილება.

ასევე აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლთა ინფორმირების კუთხით არსებობს განსხვავებული მიდგომები, კერძოდ, საქმეთა ერთ ნაწილში, პროკურატურის მხრიდან დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის მიუხედავად, რიგ შემთხვევებში, ხდება მსხვერპლის ინფორმირება ჩატარებული საგამომიებო მოქმედებების და მათი შედეგების თაობაზე. ამის საპირისპიროდ, საქმეთა მეორე ნაწილში მსგავსი მიდგომა არ არსებობს და მსხვერპლი სრულად მოკლებულია შესაძლებლობას, ფლობდეს მის საქმეზე გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას. რიგ საქმეებში ასევე პრობლემურია მსხვერპლთათვის ჩატარებული ექსპერტიზების პასუხების თაობაზე ინფორმაციის ან მათი ასლის მიღება. მართალია, დაზარალებულის სტატუსის გარეშე საქმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მსხვერპლისთვის მიწოდება დადებითად შესაფასებელია, თუმცა, აღნიშნული, რა თქმა უნდა, ვერ შეცვლის დაზარალებულის სტატუსს, რადგან სტატუსის გარეშე მსხვერპლი ვერ სარგებლობს იმ უფლებით, რასაც მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაზარალებულ პირს ანიჭებს.

### 3.6. გამოძიების გაჭიანურების პრობლემა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების კონკრეტულ ვადას, თუმცა, განმარტავს, რომ გამოძიება უნდა მიმდინარეობდეს გონივრულ ვადაში.<sup>30</sup> ის, თუ რა იგულისხმება ვადისგონივრულობაში, უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად, საქმის გარემოებებზე დაყრდნობით და იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად ეფექტიანად და პრიორიტეტულად მოხდა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების წარმართვა, ხომ არ შეყოვნდა გამოძიება საგამოძიებო ორგანოების უმოქმედობის გამო.

ანგარიშში წარმოდგენილი საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ სავარაუდო ცემის თუ სამართალდამცავთა მხრიდან სხვაგვარი ძალადობის მსხვერპლთა მიმართვაზე, მართალია, იწყება გამოძიება, თუმცა, როგორც წესი, გონივრული ვადის გასვლის მიუხედავად, იგი ვერ მიდის კონკრეტულ შედეგამდე. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული გონივრული ვადა, მასში უნდა მოვიზაროთ ის ვადა, რომელიც საჭიროა საქმეზე საგამოძიებო მოქმედებების ამომწურავად ჩასატარებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში განხილულ საქმეებზე გამოძიების დაწყებიდან გასულია სულ მცირე 6 თვე, მათი დიდი უმრავლესობა არ არის კონკრეტულ შემაჯამებელ გადაწყვეტილებამდე მისული. უფრო კონკრეტულად, 12 საქმიდან მხოლოდ ორ საქმეზე დადგა შემაჯამებელი გადაწყვეტილება, რაც ერთ შემთხვევაში გამოიხატა გამოძიების შეწყვეტაში, ხოლო ერთ საქმეზე მოხდა პოლიციელებისათვის ბრალის წარდგენა.

ასევე აღსანიშნავია ერთ-ერთი საქმე, რომელზეც, მართალია, შეწყდა გამოძიება, თუმცა, მისი განახლება მოხდა სასამართლოს მეშვეობით. კერძოდ, საქმის გამომძიებელმა ორგანომ ჯერ მსხვერპლს დაზარალებულის სტატუსი გაუუქმა, შემდგომ კი გამოძიება შეწყვიტა. საქმის მწარმოებელი ადვოკატის მიერ დაზარალებულის სტატუსის გაუქმება და გამოძიების შეწყვეტა ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრდა, რომელმაც საჩივარი არ დააკმაყოფილა, ხოლო შემდგომ, ვინაიდან საქმე ეხებოდა

<sup>30</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 103.

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, ადვოკატმა საჩივრით მიმართა სასამართლოს. სასამართლომ გაიზიარა ადვოკატის არგუმენტები და მიიჩნია, რომ პირისთვის დაზარალებულის სტატუსის გაუქმება და გამოძიების შეწყვეტა მოხდა დაუსაბუთებლად, მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის და დადგენის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ საქმეზე, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება განახლდა და არსებობს საკმარისი საფუძველი ცალკეულ პირთა პასუხისმგებლობაში მიცემისთვის, დღემდე ჭიანჭურდება შესაბამისი შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება. ამასთან, დაზარალებულად ცნობის დადგენილების გაუქმება, თავდაპირველად გამოძიების შეწყვეტა, განახლების შემდგომ კი მისი გაჭიანჭურება სერიოზულ კითხვის ნიშნებს აჩენს აღნიშნული საქმის გახსნისადმი სახელმწიფოს დაინტერესების კუთხით.

რაც შეეხება დარჩენილ 9 საქმეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეებზე გამოძიება სულ მცირე 6 თვეა მიმდინარეობს, არ დგება კონკრეტული შედეგი, არ ხდება პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა ან საქმის სხვა შედეგით დასრულება. აღნიშნული საქმეებიდან ნაწილზე, ამ დროისათვის ადვოკატების ხელთ არსებული ინფორმაციით, რაიმე ახალი საგამომიებო მოქმედებების ჩატარება აღარ ხდება და, ფაქტობრივად, საქმეები გაჩერებულია.

### **3.7. სამართალდამცავთა მხრიდან სავარაუდოდ განხორციელებული დანაშაულის მსხვერპლთათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება**

პირებს, რომლებიც აცხადებენ, რომ დაექვემდებარნენ სამართალდამცავთა მხრიდან ცემას ან სხვა სახის არასათანადო მოპყრობას, რიგ შემთხვევებში, პოლიციის მიერ დაკავებულნი იყვნენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე ან/და 173-ე მუხლების საფუძველზე, რომლებიც წვრილმან ხულიგნობას და პოლიციისკანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს.

ანგარიშში შესწავლილი 12 სისხლის სამართლის საქმიდან 5 შემთხვევაში მოხდა სავარაუდო მსხვერპლთა ადმინისტრაციული წესით დაკავება, ხოლო 4 საქმე წარიმართა ადმინისტრაციულ სასამართლოში სამართალდარღვევის საქმის განსახილველად. 4

საქმიდან 2 შემთხვევაში სამართალდარღვევის საქმე შეწყდა, ხოლო 2 შემთხვევაში პირები მიჩნეულ იქნენ სამართალდამრღვევებად და დაეკისრათ სახდელი ჯარიმის სახით.

დაკავების კანონიერებასთან დაკავშირებით 2 შემთხვევაში მოხდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მიმართვა, რათა შეფასებულიყო, განხორციელდა თუ არა დაკავება კანონმდებლობის ფარგლებში და იყო თუ არა დაცული დაკავების წინაპირობები. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავების კანონიერებაზე არ ხორციელდება ეფექტური კონტროლი, ვინაიდან ეს საკითხი, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ქმედება, ცალკე არ განიხილება (მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი საკითხის დამოუკიდებლად განხილვას ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი). კერძოდ, არ ხდება იმის შეფასება, არსებობდა თუ არა დაკავების რომელიმე კონკრეტული საფუძველი, რატომ იყო სახეზე დაკავების როგორც უკიდურესი ზომის გამოყენების აუცილებლობა და რატომ ვერ იქნებოდა მიზანი მიღწეული სხვა, ადამიანის უფლებების ნაკლებად შემზღვეველი საშუალების გამოყენებით. ზემოაღნიშნული 2 საქმიდან ერთ შემთხვევაში დაკავების თაობაზე შეტანილი საჩივარი დაერთო სისხლის სამართლის საქმეს, ხოლო მეორე შემთხვევაში საჩივრის პასუხად გამოგზავნილ წერილი არ შეიცავდა სათანადო მსჯელობას დაკავების წინაპირობებისა და მისი გამოყენების აუცილებლობის თაობაზე.

იმ საქმეებში, სადაც მოხდა პირის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობა და სახდელის დაკისრება, სასამართლო ძირითადად დაეყრდნო ერთი წყაროდან, კერძოდ პოლიციელებისგან, მიღებულ მტკიცებულებებს. გადაწყვეტილებებში ცალ-ცალკე მტკიცებულებად განიხილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ადმინისტრაციული დაკავების ოქმი, პოლიციელთა პატაკები და მათი ჩვენებები, მაშინ როდესაც ყველა ეს მტკიცებულება ერთი მხარის - პოლიციის მიერ იყო მოწოდებული. ასევე აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში თავად ამ მტკიცებულებებს შორისაც არსებობდა წინააღმდეგობები, რაც სასამართლოს მხრიდან სათანადოდ არ შეფასდა. როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოების მიერ მიღებულ დადგენილებებში

არ იკითხება დასაბუთებული არგუმენტაცია, თუ რატომ იყო გაზიარებული ერთი მხარის, კერძოდ პოლიციის, პოზიცია და რატომ იყო უარყოფილი პასუხისგებაში მისაცემი პირების ახსნა-განმარტებები. სასამართლოს განმარტებით, „სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებას არ უნდა მიენიჭოს პასუხისგებაში მიცემული პირის განმარტებაზე ნაკლები მნიშვნელობა.“ ამის პარალელურად, მოსამართლე არ ხსნის, თუ რატომ უნდა მიენიჭოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის ახსნა-განმარტებას უპირატესობა სარწმუნოების კუთხით.